ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

მედიცინის დარგობრივი კომპეტენციების კვლევა

2018/2019 სასწავლო წელი

მედიცინის დარგობრივი კომპეტენციების შესწავლასთან დაკავშირებული კვლევა დაიგეგმა 2018 წლის ოქტომბერში, მედიცინის ექსპერტ კრის სტიფენსონი (დიდი ბრიტანეთი) საქართველოში ვიზიტის პერიოდში და მასთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე.

კვლევის ჩატარების მეთოდოლოგიად განისაზღვრა თუნინგის მეთოდოლოგის, რომელიც მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს ამ ტიპის კვლევების ჩასატარებლად და მედიცინის ფაკულტეტსაც ჰქონდა ამ კვლევის ჩატარების გამოცდილება საერთაშორისო პროექტის ფარგლებში.

ჩატარებულმა კვლევამ მოიცვა დაინტერესებული მხარეების ოთხი ჯგუფი: აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები, სტუდენტები და დამსაქმებლები. მართალია რესპოდენტთა მცირე რაოდენობის გამო ამ ჯგუფის მონაცემები სტატისტიკურ დამუშავებას არ დაექვემდებარა, მაგრამ ჩვენ საშუალება გვქონდა მიგვეღო ინფორმაცია დაინტერესებული მხარეებში არსებული მოლოდინების შესახებ.

კვლევა ჩატარდა თბილისში 2019 წლის მაისში. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა, დამსაქმებლებმა თბილისის სხვადასხვა კლინიკებიდან და სამედიცინო ცენტრებიდან, კურსდამთავრებულებმა თბილისის სხვადასხვა კლინიკებიდან და სამედიცინო ცენტრებიდან, და სტუდენტებმა.

კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად დაინტერესებულ მხარეების გამოკითხვა ჩატარდა სპეციალური კითხვარით, რომელიც დაეფუძნა მედიცინის დარგობრივ მახასიათებელს.



სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 120 რესპოდენტმა, მათ შორის იყო: 30 აკადემიური პერსონალი, 30 კურსდამთავრებული, 30 სტუდენტი და 30 დამსაქმებელი. კითხვარში 4 ქულიანი სისტემით შესაძლებელი იყოს კომპეტენციების მნიშვნელობის შეფასება პროფესიული წარმატებისათვის და საგანმანათლებლო დაწესებულებაში მათი მიღწევის დონე.

ამის გარდა, კვლევის მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების შედეგების საფუძველზე რესპოდენტთა თვითოეული ჯგუფისათვის რანჟირება გაუკეთეთ შესაბამისი რეიტინგის მიხედვით ყველაზე მეტად მნიშვნელოვან და ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვან კომპეტენციებს. რანჟირება გაუკეთეთ ხუთ ყველაზე მეტად მნიშვნელოვან და ხუთ ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვან კომპეტენციებს რესპოდენტთა ოთხივე ჯგუფისათვის.

ცხრილი #1 აკადემიური პერსონალი: კომპეტენციების პრიორიტეტულობა

ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი კომპეტენციები
პრაქტიკულ საქმიანობაში ბიოსამედიცინო მეცნიერებების მიღწევების გამოყენების უნარი
კლინიკური მეცნიერებების ცოდნა
მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკაში
სამედიცინო პრაქტიკის ყველა ასპექტში შესაბამისი პროფესიული ქცევები და ურთიერთობების გამოვლენა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, თავმდაბლობა, პასუხისმგებლობა, თანაგრძნობა, პატივისცემა, ალტრუიზმი და განსხვავებულობის პატივისცემა.
საკუთარ ცოდნასა და უნარებში არსებული ხარვეზების ამოცნობა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის აუცილებლობის ვალდებულების გამოვლენა, საკუთარი პერსონალური და პროფესიული განვითარების უწყვეტად გაუმჯობესების უნარი.

ცხრილი #2 კურსდამთავრებული: კომპეტენციების პრიორიტეტულობა

ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი კომპეტენციები
პაციენტის ფსიქოემოციური სტატუსის შეფასება

მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკაში
მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის უნარი, პრობლემების გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების, დროის მართვის და სხვების ხელმძღვანელობის უნარი.
კონფლიქტის შემთხვევაში კომუნიკაცია
პრაქტიკული პროცედურების ჩატარება

ცხრილი #3 სტუდენტები: კომპეტენციების პრიორიტეტულობა

ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი კომპეტენციები
პრაქტიკული პროცედურების ჩატარება
პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა
კლინიკური მეცნიერებების ცოდნა
გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა
სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია

ცხრილი #4 დამსაქმებლები: კომპეტენციების პრიორიტეტულობა

ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი კომპეტენციები
რთულ კლინიკურ სიტუაციასთან ადაპტაცია და პასუხისმგებლობით და საჭიროებისას დამოუკიდებლად მუშაობა
მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის უნარი, პრობლემების გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების, დროის მართვის და სხვების ხელმძღვანელობის უნარი.
კონფლიქტის შემთხვევაში კომუნიკაცია
წერილობითი კომუნიკაცია (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით)
პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება

ამგვარად, 5 ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი კომპეტენციის ვარიაციამ რესპოდენტთა ოთხი ჯგუფის მიხედვით დარგობრივი ცოდნის გარდა მოიცვა დარგობრივი კომპეტენციების შემდეგი ჯგუფები: კლინიკური მეცნიერებების ცოდნა, პრაქტიკული პროცედურების ჩატარება, პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა, გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა, სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება, სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება, პროფესიონალიზმი.

ცხრილი #5

რესპოდენტთა ჯგუფების მიერ შერჩეული ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი კომპეტენციები

ჯგუფი/პრიორიტეტი	1	2	3	4	5
აკად.პერსონალი	11.3	1.3	9.1	13.1	13.5
კურსდამთავრებული	1.6	9.1	13.6	6.8	5
სტუდენტი	5	1	1.3	3	6
დამსაქმებელი	13.4	13.6	6.8	6.7	10.2

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთ დარგობრივ კომპეტენციას ყველაზე მნიშვნელოვნად თვლის რესპონდენტთა რამდენიმე ჯგუფი.

კომპეტენციას *მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის უნარი, პრობლემების გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების, დროის მართვის და სხვების ხელმძღვანელობის უნარი* ყველაზე მნიშვნელოვნად თვლიან დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები.



კომპეტენციას *მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკაში* ყველაზე მნიშვნელოვნად თვლის აკადემიური პერსონალი და კურსდამთავრებულები.



კომპეტენციას *პრაქტიკული პროცედურების ჩატარება* ყველაზე მნიშვნელოვნად თვლიან სტუდენტები და კურსდამთავრებულები.
კომპეტენციას *კლინიკური მეცნიერებების ცოდნა* ყველაზე მნიშვნელოვნად თვლის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები.



აღსანიშნავია, რომ პროფესიონალიზმის ჯგუფიდან ორ-ორი კომპეტენციის აღმოჩნდა ყველაზე მნიშვნელოვანი დამსაქმებლების და აკადემიური პერსონალის ჯგუფისთვის, და ერთი კომპეტენცია კურსდამთავრებულების ჯგუფში.

რთული კლინიკური სიტუაციასთან ადაპტაცია და პასუხისმგებლობით და საქმიანობისას დამოუკიდებლად მუშაობა



საკუთარ ცოდნასა და უნარებში არსებული ხარვეზების იმოცნობა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის აუცილებლობის გააზრებულების გამოვლენა, საკუთარი პერსონალური და პროფესიული განვითარების უნყვეტად გაეცნობისების უნარი.



სამედიცინო პრაქტიკის ყველა ასპექტში მესაბამისი პროფესიული ქცევები და ურთიერთობების გამოვლენა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, თავმდაბლობა, პასუხისმგებლობა, თანაგრძნობა, პატივისცემა, ალტრუიზმი და განსხვავებულობის პატივისცემა.



ჯგუფები /კომპეტენციები	აკადემიური პერსონალი	კურსდამთავრებულები	სტუდენტები	დამსაქმებელი
1			✓	
1.3	✓		✓	
1.6		✓		
3			✓	
5		✓	✓	
6			✓	
6.7				✓
6.8		✓		✓
9.1	✓	✓		
10.2				✓
11.3	✓			
13.1	✓			
13.4				✓
13.5	✓			✓
13.6		✓		

რაც შეეხება ნაკლებად მნიშვნელოვანი კომპეტენციების პრიორიტეტების განსაზღვრას, ეს განსაკუთრებით რტული აღმოჩნდა რესპონდენტებისათვის, რაც აისახა დასახელებულ კომპეტენციების მრავალფეროვნებაში და გამორიცხა დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა.

საინტერესო კომენტარები იქნა მიღებული გამოკითხვის შედეგად:

საინტერესო კითხვარია

კითხვარი რთულად შესავსებია

მთავარია სტუდენტის მონდომება და კარგად გათვიცნობიერება თუ რა სურს და რისი მიღება უნივერსიტეტისგან. მიხარია და ბედნიერი ვარ რომ თსუელი ვიქნები მუდამ.

დიპლომამდელი სამედიცინო განათლების სრულყოფისთვის თსუ მედიცინის ფაკულტეტს ესაჭიროება საუნივერსიტეტო კლინიკა. გისურვებთ წარმატებებს.

ბოლო კითხვაში ჩამოთვლილი კომპენეტციებიდან ყველა საჭირო და აუცილებელია

მედიცინის დარგობრივი კომპეტენციის კითხვარი საინტერესო იყო. ვთვლი რომ ნაკლებ მნიშვნელოვანი კომპეტენცია მგონი ჩამოთლილთაგან არცერთი არ არის. ვისურვებდი,რომ შესაძლებლობა გაიზარდოს პრაქტიკის კუთხით და მეტი ყურადღება მიექცეს თანამედროვე მკურნალობის მეთოდებსა და ფარმაკოლოგიის მიმართულებას.

რაც შეეხება ბოლო 2 გვერდს ჩემს მიერ დალაგებული პრიორიტეტებიც და ნაკლები პრიოტიტეტებიც პირობითია, ვინაიდან ყველა მოცემული ასპექტი მედიცინისა თავის როლს თამაშობს და თავისი დატვირთვა აქვს (ჩემი აზრით)

ძალიან საინტერესო კითხვარის, გამიჭირდა ბოლო ბლოკში 5 ყველაზე მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების ჩამოწერა.

მეტი სიმკაცრე ლექტორების მხრიდან, სტუდენტზე მაქსიმუმ 2 შანსის მიცემა, რომ გამოასწოროს ჩავარდნა წინააღმდეგ შემთხვევაში იძულება რომ შეცვალოს მიმართულება.

მე ვარ დამამთავრებელი კურსის სტუდენტი , განვლილი წლების განმავლობაში დავაგროვე ცოდნა და მივიღე გამოცდილება , ვფიქრობ რომ ცოდნა უფრო მეტად არის თეორიული და პრაქტიკული ნაწილი გასაუმჯობესებელია და დასახვეწი, ზოგიერთი მანიპულაციის შესასწავლად უფრო გვეხმარება კლინიკური პრაქტიკა . მომავალ თაობას ვუსურვებ კიდევ უფრო მეტად დახვეწილ გარემოში სწავლას. საერთო ჯამში ვფიქრობ რომ სტუდენტობის დროს საკმაოდ ბევრი რამ ვისწავლე , მომეცა მოტივაცია რომ კიდევ უკეთესი გავხდე და უფრო მეტად განვვითარდე .

კარგი იქნება თუ იმას ასწავლით სტუდენტებს, რაც რეალურად სჭირდებათ ყოველდღიურ პრაქტიკაში. ალბათ ნაკლებად მნიშვნელოვანი კომპეტენციები მედიცინაში არ არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი შექმნის აუცილებლობა არ დადგებოდა. კარგი კითხვარი იყო, მომეწონა, მადლობა! <3

დიდი იმედი მაქვს რომ საქართველოში.მედიცინა უძლიერესი იქნება..

ჩამოთვლილი პუნქტებიდან, ვფიქრობ ყველა კომპონენტი მნიშვნელოვანია და ყველას თავისი ადგილი უკავია, ამიტომ ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ვერ ამოვარჩიე. ყველა ამ უნარის მიღება თეორიულად მიღებადია სტუდენტისთვის, მხოლოდ პრაქტიკა აკლია უნივერსიტეტს და ვფიქრობ სტუდენტი რომ მორიგეობს და პარალელურად სწავლობს ეს იდეალური კომბინაციაა, მე და ჩემს კურსელებს უნივერსიტეტი ხელს გვიწყობდა თან გვემუშავა და ყველა ეს უნარი პრაქტიკულად აგვეყვანა უმაღლეს ხარისხზე.

მთავარი პრობლემა ის არის რომ კლინიკასთან ნაკლები კავშირი აქვს პროგრამას, უფრო სწორად პროგრამას აქვს, მაგრამ პროგრამის განხორციელების გზები

განსხვავდება პროგრამისგან. TL;DR ბევრი თეორია პრაქტიკის გარეშე საფუძველს მოკლებულია და დროთა განმავლობაში იკარგება.

ბაზისური განათლება - არაჩვეულებრივი! პრობლემები იჩენს თავს კლინიკური საგნების გავლის დროს. დაუშვებელია კლინიკური საგნების გავლა საკონფერენციო დარბაზებში და არა პაციენტებთან. კლინიკური მედიცინა ისწავლება პაციენტის ლოგინთან. ამ პრობლემის ბრალი არ არის უნივერსიტეტი, პრობლემა იმაშია რომ აბსოლუტურად ყველა კლინიკური ბაზა არის კერძო საკუთრება, და სტუდენტები აღიქმებიან როგორც პრობლემა ბიზნესისთვის და ხდება მათი მაქსიმალური მოცილება კლინიკურ გარემოდან და მათი მოთავსება საკლასო სივრცეში. ამ პრობლემის გადაჭრის გზა არის მხოლოდ ერთი, უნივერსიტეტს უნდა ქჰონდეს თავისი საავადმყოფო, სადაც ითამაშებს თავისი წესებით. მადლობა.

აუცილებელია პირველადი გადაუდებელი დახმარების ცოდნა, რათა სათანადოდ შეაფასო მდგომარეობა და დახმარება გაუწიო დაზარალებულს.

საკმაოდ საინტერესო და დამაფიქრებელი კითხვარია, რომელიც ნამდვილად დაგვეხმარება გარკვეულ საკითხში პრობლემის აღმოფხვრაში და სწავლების მეთოდის გაუმჯობესებაში.

მე-18 შეკითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდა. მედიკოსისთვის ყველა ჩამოთვლილი კომპეტენცია მნიშვნელოვანია, ასე, რომ ნაკლებად მნიშვნელოვანი კომპეტენციის თაობაზე შეკითხვა პასუხის გარეშე დავტოვე. გამიჭირდა, რომელიმეს ჩამოთვლა. ვფიქრობ, მხოლოდ უნივერსიტეტისა და აკადემიური პერსონალის ძალისხმევა საკმარისი არ არის. სტუდენტების მხრიდან უნდა იგრძნობოდეს მეტი სწავლის სურვილი, პასუხისმგებლობა, ინტერესი და მოტივაცია.

მეტი პრაქტიკული სწავლება სასურველია.

გაუგებარია ნაკლებად მნიშვნელოვან კომპეტენციებთან დაკავშირებული სეგმენტი. ვფიქრობ, ჩამოთვლილთაგან არ არც ართი არ არის "ნაკლებად მნიშვნელოვანი"

გამოკითხვის შედეგები გაზიარებულია პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან.